ხალგაზრდა ვერიელი

გამოსცემს გამოლის 1921 წლიდან

ხუთშაბათი, 2 აგვისტო № 81 (11567) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

მეოთხე ძალაუფლება — არსებობს კი ის?!

კითხვა საკუთარ თავს

ეს ფოტოები 4 დღის წინათ არის გადაღებული და ის უკვე ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ჟურნალისტური ცხოვრების ისტორიაა.

ამ დღეს ბევრმა დაუსვა საკუთარ თავს კითხვა — ჩვენი ჟურნალისტური კორპუსიც ისევეა დაავადებული პარტიკულარული ტენდენციებით, გათიშულობის სინდრომით, თუ აქვს მას კონსოლიდირების ის უნარი, რომელიც დაიცავს მას, დაიცავს საჯაროობას, დემოკრატიას, მართალ, თავისუფალ სიტყვას?

მეოთხე ძალაუფლება

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ასე ითვლება პრესა, ტელევიზია, რადიო; მას საკუთარი კონსტიტუციური როლი აკისრია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოების თანაბრად. ის მხოლოდ ხალხისა და კანონის წინაშე აგებს პასუხს.

არსებობს რეალურად ეს ძალაუფლება ჩვენთან?

უფრო სამართლიანი ხომ არ იქნება შევაბრუნოთ კითხვა — ვართ თუ არა ცივილიზებულნი?

ფაქტი

30 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში შეიკრიბნენ გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტები, პოლიგრაფისტები და ძირითადად განიხილეს ერთი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უფლებების დაცვის მუდმივმოქმედი წარმომადგენლობითი კომიტეტის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.

მიზეზი

ვიდრე მიზეზზე მოგახსენებდეთ, საბაბი გავიხსენოთ. თითქმის 2 კვირა იყო ჩვენი გაზეთი „დაპატიმრებული“ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული



პარტიის მიერ, იმის გამო, რომ არ დავბეჭდეთ განცხადება, რომელიც, ჩვენის აზრით, ხელს კი არ შეუწყობდა, პირიქით ხელს შეუშლიდა ნანატრ კონსოლიდაციას (2 დღით გაჩერდა გაზეთი „თბილისიც“, ერთ დღეს საერთოდ არ გამოსულა არც ერთი გაზეთი, იყო ძალმომრეობის ფაქტი „ქართული ფილმის“ მიმართ). დღეს, როგორც ხედავთ, ჩვენო მკითხველო, თქვენს წინაშეა გათავისუფლებული გაზეთის ნომერი. ეს შედეგია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისა და ჩვენი ორმხრივი მოლაპარაკებისა, რომელზეც აღინიშნა, რომ, ალბათ, ჩვენც არ ვიყავით

ცალკეულ შემთხვევებში მთლად კორექტულები და არც, ცხადია, პიკეტირება იყო დემოკრატიის კლასიკური მაგალითი.

ასეა თუ ისე, ამჯერად შეთანხმება მიღწეულია.

რა იქნება შემდეგ?

ეს უკვე მიზეზი გახლავთ ჟურნალისტთა შეკრებისა: პრესა კვლავ უნდა დაემორჩილოს დიქტატს როგორც ეს წარსულში იყო, კვლავ დამოკიდებული უნდა იყოს ის ვიღაცის ნებას, სულ ერთია ეს კომუნისტური რეჟიმი იქნება თუ არაკომუნისტური (საბედნიეროდ თუ საუბედუროდ დღეს საქართველოში აუარება პოლიტიკური პარტია და პრაქტიკულად პოლიტიზირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა)? ჟურნალისტთა აზრი თითქმის ერთიანი იყო — საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც დაიცავს პრესას, ტელევიზიას, რადიოს, დაიცავს თავისუფალ ჟურნალისტურ სიტყვას; მითუმეტეს, ეს საჭიროა მაშინ, როცა არავის, მათ შორის მთავრობასაც, არ ძალუძს დაიცვას პრესის ინტერესები (ეს ჩვენმა მაგალითმაც დაადასტურა).

დარბაზში შეკრებილმა ჟურნალისტებმა და პოლიგრაფისტებმა მხარი დაუჭირეს იდეას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უფლებების დაცვის კომიტეტის შექმნის შესახებ და ეს ხელის აწევითაც დაადასტურეს.

თუმც, სათაურად გამოტანილი კითხვა პრესის — მეოთხე ძალაუფლების არსებობის შესახებ ჯერჯერობით ღიად რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმების საფუძველზე

25 ივლისს დაიწყო და გუშინ დასრულდა სრულიადი მაჟორიტარული პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიერ (მოგვიანებით მათ შეუერთდა სახალხო ფრონტიც) მოწყობილი საპროტესტო აქცია. აქციის მონაწილეთა მიერ პიკირებული იყო სამტრედიის სარკინიგზო კვანძი, მოპიკეტეთა სოლიდარობის ნიშნად გაჩერდა რიგი საწარმოებისა.

აქციის მონაწილეთა შთავარი მოთხოვნა იყო საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების მომზადება და ჩატარება. მაგრამ დაპირებულ ვადაში არ გამოქვეყნდა არჩევნების კანონპროექტი, რომელიც თვით საქართველოს უზენაესი საბჭოს უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებით, ერთობლივად შეიმუშავეს ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა. ცხადია, შესაბამისად დაყოვნდა უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევაც, რომელმაც უნდა დაამტკიცოს საარჩევნო კანონი.

სიტუაცია გარკვეულწილად იმანაც გაამწვავა, რომ გამოქვეყნდა საპრეზიდენტო ბრძანებულება „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევაში მისი ჩამორთმევის შესახებ“. ამის პარალელურად გამოცხადდა ე. წ. თურქ-მესხთა „მშვიდობიანი“ მსვლელობა საქართველოსაკენ, რომელიც როგორც მერე გამოცხადდა, ორმხრივი მოლაპარაკებით გადაიდო.

აქციის ორგანიზატორებმა 27 ივლისს განაცხადეს, რომ ერთობლივად შემუშავებული საარჩევნო კანონპროექტის ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებისა და უახლოეს ხანში უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევის თარიღის გამოცხადებისთანავე შეწყდებოდა საქართველოში მიმდინარე ყველა საპროტესტო აქცია.

და აი, მიღწეულ იქნა შეთანხმება. გუშინ, პრესაში საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა საარჩევნო კანონპროექტები, ხოლო უზენაესი საბჭოს მომავალი სესიის დღედ დანიშნულია 17 აგვისტო. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გივი გუშბარაძის განცხადებით, 17 აგვისტოს დანიშნული უზენაესი საბჭოს სესიის დამთავრებამდე არ განხორციელდება საპრეზიდენტო ბრძანებულება „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევაში მისი ჩამორთმევის შესახებ“, რათა ხელი არ შეეშალოს კანონპროექტის სახალხო განხილვასა და სესიის ნორმალურ ჩატარებას.

1 აგვისტოს დილის რვა საათიდან მოეხსნა პიკეტი სამტრედიის სარკინიგზო კვანძს.

საკუთარი ინფორმაცია.

სარედაქციო განცხადება

საჯაროობა და დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, პრესის თავისუფლებას გულისხმობს. ასეა ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში. თუმცა ცივილიზაციამდე ბევრი გვიკლია, ასე მოხდა ჩვენშიც, სადაც ასე თუ ისე დაწყებული საჯაროობა და დემოკრატია პირველ რიგში პრესას დაეტყო. ჩვენმა გაზეთმაც აუბა მხარი სასიკეთო ცვლილებებს და თავის ფურცლებზე საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პერიპეტიებს, დემოკრატიის ერთ-ერთი გამოვლინების — მრავალპარტიული ცხოვრების ასახვას. საამისოდ სპეციალურად დავაარსეთ ალტერნატიული ფურცელიც. გვინდოდა, რეალურად აგვესახა და მომდევნო თაობებისთვისაც შემოგვენახა ყოველივე ის, რაც დღევანდელ საქართველოში ხდება. ჩვენ იმასაც გავუწიეთ ანგარიში, რომ სხვადასხვა პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა ჯერ ოფიციალურად რეგისტრირებულიც კი არ არის, მატერიალურად არცთუ ისე ხელგამართულია და ამიტომაც ფინანსურ დარღვევებსაც კი არ მოვერიდეთ და გაზეთში მათ განცხადებებს გამომცემლობის სალაროს გვერდის ავლით ვბეჭდავდით, მაგრამ...

პრესის თავისუფლება არა ერთმა პარტიამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ და პირმა გაიგო როგორც ერთმანეთის ლანძღვისა და შეურაცხყოფის თავისუფლება, რამაც ჩვენი გაზეთის 14-დღიანმა პატიმრობამაც დაგვარწმუნა. როგორც ჩანს, არც პრესა და არც საზოგადოებრივი ცხოვრება არ არის მზად დემოკრატიისა და საჯაროობისათვის, რომ ორივე მხარე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრ შეცდომას უშვებს. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, რომ ამიერიდან ჩვენი გაზეთი პოლიტიკურ პარტიებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუთმობს ადგილს, თუკი წერილებში წარმოჩნდება მათი სტრატეგიული ხასიათის მასალები, გლობალური პრობლემები თუ ამოცანები, აგრეთვე, ისეთი მასალებიც, რომლებიც ამავე დროს საჭირო და საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

რომელია ტაძრისკენ მიმავალი გზა?

ყოველი ერის ისტორია ერთი სტრიქონია კაცობრიობის დიდი მატიანისა და ამ სტრიქონით განისაზღვრება მისი ადგილი სხვა ერთა შორის. დღეს ქართველი ერი მორიგ გამოცდას აბარებს კაცობრიობის ისტორიის წინაშე და ამ გამოცდის შედეგებზე დიდად იქნება დამოკიდებული მისი შემდგომი ბედი. მის წინ ისტორიული გზის მორიგი ულელტეხილი აღმართულა მთელი თავისი სირთულითა და სიდიადით. მან უნდა წარმოაჩინოს ქართველი ერის სიცოცხლის უნარიანობა და გონების გამჭრიახობა; სიმამაცე და შეუპოვარი სწრაფვის უნარი დასახული მიზნის განსახორციელებლად. ასეთ რთულ ისტორიულ ვითარებაში ერის მთელი ძალისხმევა მიმართულია დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი სწორი და უმოკლესი გზის საპოვნელად. სწორედ ასეთ დროს სჭირდება ერს აზრთა ჯანსაღი პლურალიზმი.

ყოველი ადამიანი თავის აზროვნებასა და მოქმედებაში სუბიექტურია და ეს მით უფრო ითქმის ქართველ კაცზე, რომელიც გამორჩევა თავისი ინდივიდუალისტური ბუნებით. ნებისმიერ მსჯელობაში, ალბათ, შესაძლებელი იქნება ვიპოვოთ ობიექტური აზროვნების რაციონალური მარცვალი და ამ მარცვლების ამოკრეფა და სისტემატიზაცია მოგვცეს ჭეშმარიტი საძიებელი გზის პოვნის რეალურ შანსს. ჩემი დღევანდელი წერილის მიზანიც ეს არის. იქნებ მასშიც იპოვოს მკითხველმა ჯანსაღი მარცვალი და თუ ვერ იპოვის, არც ეს იქნება გასაკვირი. ციხის საკნიდან თავისუფალი სამყაროს გზები არ ჩანს, ის მხოლოდ უნდა ივარაუდო. ვარაუდი კი შეცდომას არ გამორიცხავს.

დღეს მთელი საქართველო ცხარედ კამათობს ეროვნულ, პოლიტიკურ და მრავალ სხვა საკითხზე. უფრო ნათლად რომ გავიაზროთ თუ ბრძოლის როგორი სტრატეგია და ტაქტიკა გვჭირდება, უნდა გავითვალისწინოთ როგორი მტერი დგას ჩვენს პირისპირ და რას შეიძლება, მოველოდეთ მისგან. მეც, მინდა ორიოდე სიტყვით გამოვთქვა ჩემი აზრი ამ საკითხებთან დაკავშირებულ რიგი პრობლემების შესახებ.

საზოგადოების განვითარების ისტორიული კანონზომიერება გვიჩვენებს, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე საკმაო ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოები ამქცევენენ იმპერიულ მისწრაფებებს და შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებენ კიდეც მას. განვითარების ამ ეტაპზე ამ სახელმწიფოებისათვის ეს ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო. მაგრამ დგება პერიოდი, როდესაც იმპერიის არსებობა, გაბატონებული ერის განვითარებისათვის მუხრუჭად იქცევა და იწყება უკუპროცესი — იმპერიის რღვევა. ეს გზა გაიარა მსოფლიოს თითქმის ყველა კლასიკურმა იმპერიულმა სახელმწიფომ.

რუსეთი, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ჩამორჩენილობის მეოხებით სხვებზე გაცილებით გვიან დაადგა იმპერიული განვითარების გზას. აქედან გამომდინარე, მისი რღვევის პროცესიც შესაბამისად გვიან დაიწყო. ამდენად, საბჭოთა იმპერიის რღვევა, ისტორიული კანონზომიერებით არის გამოწვეული და არ არსებობს ძალა, რომელიც ამ პროცესს შეაჩერებს.

რუსეთის იმპერიის არსებობის მანძილზე, რამდენჯერმე განხორციელდა გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმები და კატაკლიზმები, მაგრამ მათი მიზანი მხოლოდ იმპერიის საფუძვლების გაძლიერება იყო. ბატონყმური წყობილების გაუქმება ჩაგრული კლასის სიმრავლულოთ როდი იყო გამოწვეული—ის იმპერიის ეკონომიკური სიძლიერის აღმავლობას ემსახურებოდა. არც ოქტომბრის რევოლუციას ჰქონია მიზნად დასახული ხალხთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. დაინახეს რა, რომ მეფის რუსეთი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად შეორეხარისხოვანი სახელმწიფო გახდა, ხალხთა კეთილდღეობის იდეებს ამოფარებულმა, იმპერიული სულით აღტკინებულმა ფანატიკოსებმა მოახდინეს იმპერიის რესტავრაცია და ძველის ნანგრევებზე შექმნეს ახალი — იმავე შემადგენლობის იმპერია, ძველზე შევრად სასტიკი და დაუნდობელი. დღევანდელი გარდაქმნაც ნურავის შეუქმნის ილუზიებს. სამადლობელი არავის მიმართ გვაქვს სათქმელი. ესეც რესტავრაციის ერთ-ერთი მორიგი ცდაა — უკანასკნელი იმედი განწირული იმპერიის გადარჩენისა. იმ იმპერიისა, რომელიც ათობით წლების განმავლობაში არნახული სისასტიკით ცდილობდა ამოეშანთა ქართველი კაცის გულიდან ყოველივე ის, რასაც ქართული ჰქვია, რაც ქართველ კაცს თავის ქართველობას შეახსენებდა: ენა, მამული და სარწმუნოება. უპირველესად ერის სულიერი დულაბის — სარწმუნოების ამოძირკვა განიზრახეს. უამრავი ეკლესია-მონასტრები ნანგრევებად ან უკეთეს შემთხვევაში დამხმარე სათავსოებად აქციეს, ფეხქვეშ გათელეს ერის რწმენა და სინდისი, წაგვართვეს ღვთიური კაცთმოყვარეობის ათი მცნება და სანაცვლოდ მამის მოღალატე შვილის თეორია შემოგვთავაზეს. მორწმუნე კაცს ცხოვრების გზა გადაკეტილი ჰქონდა. რელიგიური დღესასწაულის დღეებში, შვილს მშობლების საფლავზე ფასვლას უკრძალავდნენ. უნუგეშო მშობლებს შვილის საფლავზე მუხლის მოდრეკას პოლიტიკურ დანაშაულად უთვლიდნენ და თითქმის მიაღწიეს კიდეც საწადელს, გააკეთეს ის, რაც ვერ შესძლეს არაბმა და მონღოლმა, სპარსმა და თურქმა. ერთეულები თუ დარჩნენ სარწმუნოების ერთგული, ვინც შესძლო გულში ფარულად ეტარებინა ღვთიური სიკეთის ჰადლი.

წაგვართვეს რა რწმენა სიკეთისა და კაცთმოყვარეობისა, ერის სიმტკიცის მეორე კარიბჭეს — ენას შეუტიეს. აქ პრობლემა უფრო რთული გადასაწყვეტი აღმოჩნდა. აქ ვერ მოიშველიებდნენ რაიმე „შეცნიერულ“ თეორიებს, ამიტომ ბრძოლას უფრო პრაქტიკული სახე მისცეს. მოზღვავდა თეორიები, რეკომენდაციები და დადგენილებები ორენოვნებისა, მისი „სიკეთისა“ და ყოვლისშემძლეობისა. თუმცა ეს უკანასკნელი არ იყო საფუძველს მოკლებული. იცი მხოლოდ რუსული ენა? გზა ყველგან ხსნილი გაქვს. მარტო ქართული ენის ცოდნით კი შორს ვერ წახვალ. აქედან გამომდინარე, ორენოვნება მხოლოდ ქართველს სჭირდება, რუსისთვის ის ზედმეტია... გარემოება ქმნის შევნებასო და ეს კარგად გამოჩნდა ქართული საზოგადოების ამბიციურ ნაწილში. რუსული სკოლები და საბავშო ბაღები, რუსულ ენაზე საუბარი, ქართულად მსჯელობის დროს კომენტარები რუსულ ენაზე — კარგი აღზრდისა და კარგი ტონის სინონიმი გახდა. მადა ჭამაში მოდიოს და თუ ორენოვნება კარგია, მით უკეთესი იქნება ორეროვნება. ინტერნაციონალური ოჯახი, ამაზე უკეთესს რას მოიფიქრებ. ასეთ ოჯახებში, როგორც წესი, სალაპარაკო ენა რუსულია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. ასე ეყრებოდა საფუძველი ქართველი კაცის ასიმილაციას. რაც მეტი, მით უკეთესი, არა? რა თქმა უნდაო, დაგვიდასტურებენ იმპერიის მესვეურები.

ესეც ასე... კიდევ რა დაგვრჩა დასაკარგავი?

ჰო, მამული. მთავარი მიზანი ეს არის დამპყრობლისა. მთავარია მამული წაგართვას, დანარჩენი მრავალი სხვა. შევქმნათ იქ ინტერნაციონალური ოჯახები, დავსახლდეთ და ვიცხოვროთ ბედნიერად. მერე რა, თუ საქართველოშიც ბევრი გვაქვს აღსადგენ-ასაშენებელი. აქ რუსები გამოიჩენენ შაოალ ინტერნაციონალურ შეგნებას, ისინი ააშენებენ და დასახლდებიან კიდეც. ქართველებს ზოგჯერ არ გვყოფნის „შეგნება“ და ვკიუტობთ. მაშინ ძალით მივაყვართ ციმბირში და მეხსიერებამ რომ არ გვიღალატოს, თვალსაჩინოებისათვის ჩვენი წინაპრების საფლავებს გვიჩვენებენ, რომლებიც ასე მრავალ-ია იქ. რას იზამთ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი, მაგრამ ჩვენი გამოსწორება მაინც არ მოხერხდა. ვერც ჯალალედინმა გამოგვასწორა, ვერც თემურლენგმა, ვერც შაჰაბასმა და ვერც აღამაჰმადხანმა. გვეპატიოს — ხასიათს ვეღარ შევიცვლით.

აი, ვინა ვართ და აი, როგორ მოვსულვართ დღემდე. დღეს კი უკანდასახევი გზა აღარა გვაქვს. „ან გამარჯვება ან სიკვდილი!“— აი, დევიზი ქართველი კაცისა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი წამყვანი ძალაა ახალგაზრდობა და ჩვენ, უფროსი თაობა მათ გვერდზე უნდა ვიდგეთ. მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. სჭირდებათ არა იმიტომ, რომ შემართება აკლიათ, არამედ იმიტომ, რომ იგრძნონ ამ წმინდა ბრძოლაში მარტონი არ არიან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ყველა ქართველისათვის ერთნაირად სანუკვარია. სჭირდებათ იმიტომაც, რომ უფროს თაობას ცხოვრების დიდი გზა აქვს გამოვლილი. მერე რა, თუ ეს მონობაში გავლილი გზაა. ბრძოლაში ამ გზაზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინებაც საჭიროა. შეცდომის უფლება არა გვაქვს. დღევანდელ ბრძოლაში დაშვებული შეცდომა შეიძლება ტრაგედიის ტოლფასი გახდეს.

ერის დღევანდელი პოლიტიკური აქტივობა განაპირობებს ეროვნული მოძრაობის ძალთა მრავალფეროვნებასაც. შეიქმნა და ფუნქციონირებს მრავალრიცხოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები — შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამებითა და ბრძოლის მეთოდებით. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზე არის, მაგრამ თუ ცოტა უფრო ღრმად ჩავიხედავთ საქმეში, არასასიამოვნო ტენდენციების ნიშნებსაც აღმოვაჩენთ. ვნახავთ, რომ თურმე არც ისე დიდ ანგარიშს ვუწევთ ერთმანეთის აზრს. მხოლოდ ჩვენი გზა მიგვაჩნია ბრძოლის ერთადერთ ჭეშმარიტ გზად. იყო ეროვნული მოძრაობის ძალების კონსოლიდაციის ცდებიც, შეიქმნა ეროვნული ხსნის კომიტეტი, მაგრამ მალე დაიშალა. შემდგომში შეიქმნა ეროვნული ფორუმი და ისიც დაიშალა. სამწუხაროა, რომ იმ დიდი მიზნის მიღწევის გზაზე, რომელსაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია, ერთმანეთთან საერთო ენა ვერ გამოგვინახია. დღეს საქართველო საომარ მდგომარეობაშია, ომს კი ერთი მხედართმთავარი სჭირდება და ერთი გენერალური ხაზი. ნუ გავითიშებით, მეგობრებო, ვიაროთ ერთი გზით საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. ყველა მხედართმთავარი ვერ ვიქნებით, ვიყოთ კარგი ჯარისკაცები, ჯარისკაცებიც ხომ საჭიროა.

წინ დიადი მიზანი გვაქვს და ყველა ჩვენთაგანის ვალია ერთად ვიაროთ ამ მიზნისაკენ ყველაზე ოპტიმალური გზით. დღეს აუცილებელ ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ არსებული ობიექტური მიზეზების გამო, ჩვენთვის შეიარაღებული ბრძოლის გზა გამორიცხულია. გვრჩება ერთადერთი — პარლამენტური ბრძოლის გზა. აქ კი აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს. რომელი პარლამენტი გამოვიყენოთ? არსებული მარონეტული, თუ მის პარალელურად შექმნილი ოპოზიციური პარლამენტი?

დავიწყოთ პირველით. რას წარმოადგენს არსებული პარლამენტი და რა შეუძლია მას? პირველ ყოვლისა, არსებული პარლამენტი წარმოადგენს კონსტიტუციურად განმტკიცებულ, იურიდიულად უფლებამოსილ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს არსებული კონსტიტუციის საფუძველზე მიიღოს დადგენილებები და ამ დადგენილებებს ექნებათ იურიდიული ძალა, როგორც მსოფლიო პოლიტიკური წრეებისათვის, ასევე საბჭოთა იმპერიის მესვეურთათვის. მისი უგულველყოფა კი ამ უკანასკნელთა მიერ არასახარბიელო როლში წარმოაჩენს იმპერიას და გარდაქმნის ავტორებს მსოფლიო საზოგადოების თვალში. აქედან გამომდინარე, გაკვირვებას იწვევს ზოგიერთთა მიერ უარყოფა არსებული პარლამენტის გამოყენების შესაძლებლობისა. განა არსებულმა პარლამენტმა (რა თქმა უნდა, ეროვნული მოძრაობის ზეგავლენით) არ დაიცვა ქართველი ერის ინტერესები, როდესაც წყდებოდა საკითხი კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსის ან საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკის გამოყოფის უფლების შესახებ? განა მან არ აღიარა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტი, რომელიც ჩვენს დღევანდელ ბრძოლაში ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია? განა დღევანდელი ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არ ემყარება კონსტიტუციურ უფლებებს, რომელიც არსებულმა პარლამენტმა შეგვინარჩუნა?

ახლა ვნახოთ მეორე. რას წარმოადგენს და რა შეუძლია ოპოზიციურ პარლამენტს? როგორც პროექტის ავტორები გვთავაზობენ, ოპოზიციური პარლამენტი არჩეული იქნება არსებული პარლამენტის პარალელურად საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით. დავუშვათ ჩვეტარეთ ასეთი არჩევნები და ავირჩიეთ პარლამენტი. ექნება თუ არა მას უფლება განაცხადოს, რომ არის ქართველი ერის ნების გამომხატველი? დიახ, მას ამის მორალური უფლება ექნება, მაგრამ არ ექნება იურიდიული სტატუსი, რომ ილაპარაკოს ერის სახელით. მან რომ ეს იურიდიული უფლება მიიღოს, ორი პირობიდან, ერთი რამ მაინც არის საჭირო: ან აღიაროს ამ არჩევნების კანონიერება საბჭოთა მთავრობამ, რაც გამორიცხულია, ან ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ. ეს უკანასკნელიც უიმედო ილუზიაა, რადგან დღეს საბჭოეთის მიმართ მთელი მსოფლიო მაამებლობის პოლიტიკას ატარებს და საქართველოსათვის მას არავინ აწყენინებს. საქართველოს ბედი, თუნდაც დღეს მისი არსებობის საკითხიც კი წყდებოდეს, მათთვის სრულიად უმნიშვნელოა, მსოფლიო გლობალური საკითხებთან შედარებით. ეს კარგად გვიჩვენა ლიტვის ამბებმაც და ამის დაუნახაობა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ოპოზიციური პარლამენტის არჩევა იქნება აქცია და არა იურიდიული აქტი. ამდენად, მოქმედი საბჭოთა კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე, საბჭოთა მთავრობა არ ისურვებს ასეთ პარლამენტთან დიალოგს. დიალოგი კი, როგორც ცნობილია, პარლამენტური ბრძოლის ძირითადი საშუალებაა. არც საერთაშორისო პოლიტიკური წრეების აზრი იქნება მის მიმართ დადებითად განწყობილი და აღმოჩნდება, თურმე ტყუილად გავისარჯეთ, დრო ტყუილად დავკარგეთ, ყოველივე ეს ფუჭი წამოყენება ყოფილა.

არის კიდევ ერთი ფრიად პრინციპული საკითხი. დღეს ხშირად გაისმის კატეგორიული მოთხოვნა, დაუყოვნებლივ ერნას გაყვანილი საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარები, რომ მხოლოდ მათი გაყვანის შემდეგ ჩატარდება პარლამენტის არჩევნები. ფრიად კეთილშობილური სურვილია, მაგრამ რამდენად რეალურია მისი განხორციელება? ხომ არ ჩაგვაგდებს ასეთი მოწოდებები სასიამოვნო ილუზიების ტყვეობაში და სასურველს შესაძლებლობად მოგვაჩვენებს? რატომ გვგონია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები არ დაემორჩილება საერთო კანონზომიერებას, რომელიც განპირობებულია რიგი ობიექტური მიზეზებით. მსოფლიო დეკოლონიზაციის ისტორია და თვით აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის დაშლის პროცესი ადასტურებს, რომ საოკუპაციო ჯარების გაყვანა. ყველაზე ბოლო აქტია ერის დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. ნუთუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს, რომ იმპერიის მესვეურები დღესვე შეასრულებენ მათ მოთხოვნებს? ნუთუ არ გვახსოვს, რა ძალისხმევა დასჭირდა ჩვენს ახალგაზრდობას დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან განლაგებული ერთი სამხედრო პოლიგონის ადგილის შეცვლის საკითხის გადასაწყვეტად? ნუთუ არ ვითვალისწინებთ რა რაოდენობის სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა დგას საქართველოში? ნუთუ არ ვითვალისწინებთ, რომ ეს თურქეთთან საზღვრის გახსნას ნიშნავს ცენტრისათვის აქედან გამომდინარე ყველა შედეგით? როგორ მოვიქცეთ? ჩვენ ხომ დღეს მათზე ზემოქმედების არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია. მაინც ველოდოთ ჯარების გაყვანას? კი მაგრამ, რა იმედით და როდემდე? ეს ხომ უაზრო, უსასრულო ლოდინი იქნება. ეს ხომ ფაქტიურად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას ნიშნავს. დრო კი არ ითმენს. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები არსებული პარლამენტის საშუალებით თავისუფლების კარიბჭესთან დგანან. მათი საკითხი უკვე მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია და მათი დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი მხოლოდ დროის საქმეა. მსოფლიო აღიარებს ამას, ჩვენ კი ჯიუტად არ გვინდა, ვაღიაროთ. არ გვინდა ვაღიაროთ ისიც, რომ საგრძნობლად ჩამოვრჩით მათ და ჯერ კიდევ მატნგგების დონეზე ვართ. ხშირად იმასაც კი გაიგონებთ, რომ თურმე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე მათზე წინაც კი ვყოფილვართ. ჩვენთვის საგანგაშო ზარის ხმად უნდა იქცეს ლიტვის პრეზიდენტის მრჩევლის სიტყვები: უახლოეს მომავალში ესტონეთი და ლატვიაც მიბაძავენ ლიტვას, ხოლო დანარჩენ 12 საბჭოთა რესპუბლიკას ახალი ფედერაციის შექმნა მოუწევთო.

მთელი მსოფლიო დაძაბული ადევნებს თვალს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს, როგორც ლონდონის უნივერსიტეტის ერთაშორის ურთიერთობის სპეციალისტი, ჩვენი თანამემამულე რამაზ კლიმიაშვილის ინტერვიუდან შეიტყეთ, მთელი მსოფლიო ელოდა თურმე, რომ ამა წლის 9 აპრილს საქართველოს ახალი პარლამენტი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პარლამენტის არჩევნების ბოიკოტი მათ აღიქვეს, როგორც ლიტვის ღალატი და ესტონეთისა და ლატვიისათვის ახალი სიძნელეების შექმნა. ხოლო თვით საქართველოსათვის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხის შორეულ მომავალში გადატანა.

დრო არ ითმენს. საქართველოსათვის თავისუფლება ყველაფერზე ძვირფასია და მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელი პარლამენტით მიაღწევს მას.

თამაზ ადამია

(გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტები

უნდა გაღრმავდეს

ამ ბოლო დროს საქართველო არ განიცდის უკმარისობას უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებისა იქნებიან იწინი საქმიანი, სპორტული, ხელოვნების წრეებისა. თუ სამეცნიერო და საწარმოო კავშირების წარმომადგენლები. მათ ერთი რამ აკავშირებთ — ცოცხალი ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი, რომლის შესახებ ზოგიერთმა მათგანმა ხუთიოდე წლის წინათ შეიძლება ბევრი არაფერი იცოდა.

დღეს გვსურს შემოგთავაზოთ საუბარი ჩვენს ერთ-ერთ სტუმართან, რომელიც თბილისში იმყოფება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული, მშვიდობისა და განიარაღების ფილოსოფიურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს მოწვევით. იგი გახლავთ რუანის უნივერსიტეტის ისტორიული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი ფრანსუაზა მარი ტელამონი, რომლის კვლევის საგანსაც წარმოადგენს წარმართობისა და ადრექრისტიანული ხანის ისტორია.

ჩვენ შევხვდით ქალბატონ ფრანსუაზა ტელამონს და ვთხოვეთ, რამდენიმე სიტყვით ეამბნა თავისი საქმიანობისა და საქართველოში ყოფნის თაობაზე.

—ქალბატონო ფრანსუაზა, როდის გაიგეთ პირველად საქართველოს შესახებ და რამ გამოიწვია თქვენი ესოდენ დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი?

— 1966 წელს დავიწყე მუშაობა თემაზე, რომელიც შეეხებოდა ადრეული ხანის ქრისტიანულ რელიგიას, კერძოდ, მეოთხე საუკუნეს. ჩემი ნაშრომი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი მოიცავს ქრისტიანობის განვითარების მთელ პროცესს. ეს ის პერიოდია, როდესაც დასასრულს მიუახლოვდა პაგანიზმი და აღმავლობის გზას დაადგა ქრისტიანული სარწმუნოება.

ცნობილი რომაელი ისტორიკოსის, რუფინუსის წიგნში არის ერთ-ერთი თავი, მიძღვნილი იბერიისადმი, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება ქართველებმა. რუფინუსი არის ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყარო (მე-4 საუკუნე), სადაც პირველად არის წერილობით მოხსენიებული ქრისტიანული იბერია. მე, რასაკვირველია, შემეძლო შევჩერებულიყავი ჩემი შრომისათვის საკმარის ინფორმაციაზე, მაგრამ ძალიან დამაინტერესა იმ ფაქტმა, რომ იბერია აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება შემოტანილ იქნა ქალის მიერ. ეს არ მომხდარა არც ერთ ქვეყანაში, ამიტომაც გამიჩნდა აზრი, რომ ასეთი ფაქტი შეიძლებოდა მხოლოდ საქართველოს კულტურული ტრადიციებიდან გამომდინარე ყოფილიყო და განვაგრძე მეცნიერული კვლევა.

— რა წყაროებით სარგებლობდით საქართველოს შესახებ თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად?

— გარდა რუფინუსისა, ვიყენებდი ბერძენი ისტორიკოსების წიგნებს, მაგრამ ისინიც ქრისტიანულ იბერიაზე წერისას, რუფინუსიდან მოყვანილი ციტატებით სარგებლობენ, ვსარგებლობდი აგრეთვე ინგლისურად თარგმნილი ქართული წყაროებით, ბატონ თარხნიშვილის წიგნით, სადაც იგი ერომანეთს უდარებს ქართულ, სომხურ და ლათინურ წყაროებს. ბელგიელი ავტორის, პეტერისის წიგნით, რომელიც მუშაობს საქართველოსა და სომხეთის ისტორიისა და გეოგრაფიაზე.

პარიზში გავიცანი შესანიშნავი ქართველი მეცნიერი ჟორჟ შარაშიძე, რომელიც მეტად დიდი სამეცნიერო ავტორიტეტით სარგებლობს საფრანგეთში. ბატონი ჟორჟი მუშაობს ქართული და კავკასიური ენების ლინგვისტიკაზე, ხელმძღვანელობს სამეცნიერო ჟურნალს, რომელიც შეისწავლის საქართველოსა და კავკასიას. მან გამოსცა შესანიშნავი წიგნი — „წარმართული საქართველო“ (1968 წ. პარიზი), რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე. ამ ნაშრომში არაჩვეულებრივად მაღალ დონეზე არის გამოკვლეული საქართველოს ეთნოგრაფია, ის, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს საქართველოში ქრისტიანული და წარმართული ადათ-წესები. ამ წიგნის წყალობით დავინტერესდი ფშავით, ხევსურეთით, სვანეთით... ჩვენთვის მეტად საინტერესო და გულდასაწყვეტია, რომ საქართველოში არ იცნობენ ამ მეცნიერს და მის ნაშრომებს.

— ქალბატონო ფრანსუაზა, თუ შეიძლება გვითხარით, როდის გადაწყვიტეთ საქართველოში ჩამოსვლა?

— როდესაც დავამთავრე მუშაობა სადოქტორო თემაზე, ხელში ჩამივარდა ბატონ ვახტანგ ცინცაძის და მისი მეუღლის, ქალბატონ რუსუდან მეფისაშვილის წიგნი — „საქართველოს ხელოვნება“, სადაც საუბარი იყო მცხეთაში ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებზე, რამაც ძლიერ დამაინტერესა, მაგრამ სხვა წყაროები, გარდა ამ წიგნისა, სამწუხაროდ, არ გამაჩნდა.

1989 წელს საფრანგეთში ჩამოვიდა დიდი დელეგაცია საბჭოთა კავშირიდან, რომლის ერთი ჯგუფი რუანის უნივერსიტეტს ეწვია. მე არ ვიცოდი, თუ რა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა ეს დელეგაცია, და, როდესაც დაიწყეს მათი წარდგენა, აღმოვაჩინე საქართველოდან ჩამოსული ადამიანი, ბატონი ოთარ წერეთელი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე მას გავეცანი, ვაჩვენე ჩემი დისერტაცია, ამასთან ერთად გავაგებინე, რომ ძალიან მაინტერესებს სვეტიცხოველი და ვკითხე, შეუძლია თუ არა დახმარება საჭირო ინფორმაციის მიღებაში, მაშინ ბატონმა ოთარმა მითხრა, რომ აჯობებდა ჩემი ჩამოსვლა საქართველოში და უშუალოდ ყველაფრის ნახვა და აი, დღეს მე მისი წყალობით აქ ვიმყოფები.

— ამ ვიზიტის შემდეგ გაგინელდათ თუ გაგიღრმავდათ ინტერესი საქართველოსადმი?

— სამეცნიერო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნის ნახვას, რომელსაც სწავლობ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი თეორიის დონეზე რჩება.

ჩემს მასპინძლებთან ერთად ვიყავი ფშავში, პირადად ვიხილე ხატი, ხევისბერის ქალიშვილიც კი გავიცანი, რომელმაც შესანიშნავად ამიწერა მსხვერპლთ შეწირვის რიტუალი, ადათ-წესები და ჩვეულებები...

დუშეთში ყოფნისას კი ვნახე ეინვალის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები. საოცრად დამწყდა გული იმაზე, რაც წყლის საფარის ქვეშ მოექცა და რაც ვერასოდეს იხილავს დღის შუქს.

ძალიან გამიხარდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ვიცოდი ზოგიერთი ისეთი რამ წარმართული ცხოვრებიდან, რაც თვით ხევსურებსაც კი არ ახსოვდათ.

მთაში მოგზაურობამ მომცა საშუალება დამენახა, თუ როგორ ხდება უნიკალური შერწყმა საქართველოში პაგანიზმისა და ქრისტიანობისა.

ადრე არაფერი მსმენია ძალისის შესახებ, ძალიან დამაინტერესა მოზაიკამ, რამაც უკეთ გამაგებინა საქართველოს კულტურული სტრუქტურა და რომაული კულტურის გავლენა მასზე.

მომნუსხა ქართულმა საგანძურებმა, ტაძრებმა და საერთოდ უშუალო შეხებამ ქართულ ხელოვნებასთან.

გასაკვირი არ არის, რომ აქ ჩამოსვლის შემდეგ მინდა მოვახდინო ჩემი სადისერტაციო ნაშრომის კონკრეტიზირება. ვაპირებ წერილის დაწერას საქართველოში ნინახის შესახებ. ერთადერთი, რაც დიდ წინააღმდეგობას მიქმნის, არის ენობრივი ბარიერი, ვინაიდან მასალების უმეტესი ნაწილი მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზეა დაბეჭდილი.

გულის დაწყვეტით მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი მეცნიერები არ არიან მთლიანად კურსში იმ დიდი გამოკვლევებისა, რაც ტარდება მსოფლიოში საქართველოსთან დაკავშირებით. ესეც ენობრივი ბარიერების ბრალი ხომ არ არის?

ძალიან კმაყოფილი ვარ და მსურს უფრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ისტორიის, ქართული ხელოვნების ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს და ხელმძღვანელებს. აქ მე გავიცანი მეტად კომპეტენტური და თავის საქმეში ჩახედული სპეციალისტები: არქეოლოგები, ეთნომეცნიერები, ეთნოგრაფები, ხელოვნების ისტორიკოსები, რომლებმაც უამრავი საინტერესო რამ მიჩვენეს და გამაგებინეს.

— ქალბატონო ფრანსუაზა, გაქვთ თუ არა იმის სურვილი, რომ თბილისისა და რუანის უნივერსიტეტებს შორის უფრო ფართო კონტაქტები დამყარდეს?

— საფრანგეთში არიან მეცნიერები, რომლებიც უშუალოდ საქართველოზე მუშაობენ და დიდი სიამოვნებით მიჰყვებიან ამ საქმეს ბოლომდე. ჩემი ჩამოსვლაც პირველ საფეხურს წარმოადგენს შემდეგი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ხოლო კონკრეტულად საკითხი გადაიჭრება უნივერსიტეტის საბჭოსა და პირადად პრეზიდენტის მიერ, საფრანგეთის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში.

საქართველოდან მე მიმაქვს წერილი, რომელსაც მატანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ალბერტ თავხელიძე რუანის უნივერსიტეტის პრეზიდენტთან. სწორედ აქედან დაიწყება ოფიციალური მოლაპარაკება უფრო ფართო კონტაქტების შესახებ.

სიტყვები არ მყოფნის ჩემი აღფრთოვანების გამოსახატავად, ვერ წარმოვიდგენდი, თუ მექნებოდა მშვენიერ საქართველოში ჩამოსვლის საშუალება. მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო და დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს სტუმართმოყვარე მასპინძლებს დროის ესოდენ დიდი ოდენობითა და გემოვნებით განაწილებისათვის, პროგრამის შესანიშნავად შედგენისათვის. მიჭირს იმის გამოთქმა, თუ რამდენად შესანიშნავ და საოცარ ხალხს შევხვდი საქართველოში. უფრმესი მადლობა იმ სიკეთისა და სითბოსათვის, რაც აქ მაგრძნობინეთ.

ესაუბრა
მარინე სალუქვაძე

სურათზე: ფრანსუაზა ტელამონი.

გენადი სანაია ფოტო.

კომკავშირის ჩაკეტილი ოთახები თუ?

როგორც საქართველოს მრავალ რაიონში, კასპის რაიონშიც მრავალი ეროვნული და სოციალური პრობლემაა გადასაჭრელი. პირველ რიგში, ეს ეხება არაქართველი მოსახლეობის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას, რაც საქართველოში დღეს ყველაზე მთავარი, შტკივნეული საკითხია და ცალკე წერილის თემაა. ამ საკითხს ჩვენ არაერთხელ დავუბრუნდებით და გავაშუქებთ. ამჟამად კი იმ ერთ ცვლილებაზე მოგითხრობთ, რაც ამ რაიონის კულტურულ ცხოვრებაში მოხდა.

შენობა, რომელიც კომკავშირის კასპის რაიკომს ეკავა ნაწილობრივ განთავისუფლებულია, წითელზალიჩადაგებულ კიბეებზე ეხლა კასპის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები დადიან. კომკავშირის ყოფილ საკეტო დარბაზში კი უკვე მათი პირველი აკადემიური გამოფენაც მოეწყო.

ამ გამოფენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უყურებ და არ გჯერა, რომ ეს მხატვრული ქმნილებები მხოლოდ ხუთი თვის მუშაობის შედეგია. პირველი და ძირითადი, რასაც აქ შეიგრძნობ, ის ხალასი, მხატვრული ნიჭია, რითაც ასე უხვად დაუჯილდოებია ღვთიურ ძალას ეს ბავშვები.

უყურებ სამთავისელ, ქვემო ჭალელ, ერთაწმინდელ მე-5-6 კლასელ ბავშვთა ნამუშევრებს და გაოცებს მათ მიერ ფერის არაჩვეულებრივი შეგრძნებისა და წარმოსახვის ხუნარი. თუმცა ვასაოცარი არაა რამე უნდა იყოს, რამეთუ მათი მშობლიური სოფლები აღსავსეა განუმეორებელი ფერადოვანი კოლორიტული გამით. მოსწავლეები ძირითადად მუშაობენ ფანქარით, წყლის საღებავებით და გუაშით. წყლის საღებავებით, ამ ურთულესი ტექნიკით, ფაქიზად და პოეტურად არის წარმოსახული ქართლის თავისებური ხედები.

აქ, ამ სამხატვრო სკოლაში შესრულებული ნამუშევრების მხატვრულ ღირსებებზე გაუთავებლად შეიძლება ილაპარაკო, მაგრამ არ შეიძლება, არ აღნიშნო ბავშვების ის ორიგინალური ნატურმორტები, რომელიც ასე გემოვნებით შეურჩევია მათ პედაგოგს ა. ქესაურს.

ა. ქესაურმა, რომლის მეცადინეობითაც შეიქმნა ეს სამხატვრო სკოლა, 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კინოს ფაკულტეტი და ეხლა მშობლიურ კუთხეში, კასპში მოღვაწეობს.

როგორც თავად გვითხრა, იგი არ მუშაობს დადგენილი პროგრამის მიხედვით. იგი რაც შეიძლება მეტ თავისუფლებას აძლევს თავის შეგირდებს მხატვრული ნიჭის გამოსავლენად და თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურად მუშაობს.

ამჟამად სამხატვრო სკოლას მხოლოდ 3 ოთახი უჭირავს, დანარჩენები კი კვლავ ჩაკეტილია...

ამ სამხატვრო სკოლის დაარსებაში ა. ქესაურს მხარში უდგას კულტურის განყოფილების გამგე გ. კელაპტრიშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი ვ. ზავრადაშვილი. მათ ბევრი გააკეთეს, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია, რადგან ამ სამხატვრო სკოლაში მოხვედრის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია, მათ კი 3 ოთახი, რა თქმა უნდა, არ ეყოფათ.

საჭიროა კასპის რაიონის აღმასკომმა მეტი აქტიურობა და გულისხმიერება გამოიჩინოს, რომ ამ რაიონის ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს მეტი გასაქანი მიეცეს მხატვრული ნიჭის გამოსავლენად. ეს ერთგვარად ხელსაც შეუწყობს მიგრაციის პრობლემების გადაჭრის საქმეს.

ვფიქრობ, ეს ახლად დაარსებული 5-წლიანი სამხატვრო სკოლა გაცილებით მეტს არგებს საქართველოს, ვიდრე უქმად ჩაკეტილი კომკავშირის სამუშაო ოთახები...

ია ესვანჯია,
ხელოვნებათმცოდნე.

„საფანური სამების“ „დიდი აღმოცჩისკრების“ და სხვათა შესახებ

საუბარი ლოვარდ ტუსაკელილთან



ზ. ბეჟდლიშვილი — თქვენ კომპარტიის წევრი ხართ და ამას ზოგიერთებივით არ უკადრისობთ, არ მოგაკეთ ალბათ ამიტომ, რომ ეალდებულად თვლით თავს პასუხი აგოთ იმ ძმაკაცებისათვის, რომელიც ამ პარტიას ჯერ ფაშეიანელ ანოლელებად მაინდ ლ. ეს არის ანა ამდენად პარტიული, რამდენადაც ზნეობრივი კიბეცია. მინდა ერთი „უბრალო“ კითხვით მოგმართოთ: თქვენთ, გაზეთიდან კომპარტიდან ბაშინ ორმაგი პარტიის წევრობას ისერვებდით?

ლ. ტუსაკელილი — დიახ, მე ჯერ ისევ ვსაკ ბუკი წევრი ვარ, ისევე როგორც დაახლოებით 400.000 ჩემი თანამემამულე — დღეს დაბნეულნი, გოგიზეულნი, შეშინებულნი და დარცხვენილნი, თუმცა ბევრი გაშმაგებული და აშკარად თუ ფარულად დაუჭერეზეულიც. ეროპრესიების მომლოდინეც საკმაოდაა ჩვენს შორის და მატიანეების აქტიური მონაწილეც. შესანიშნავად ვიცი, საქართველოს კომუნისტური პარტია ერთ-ერთი საოლენ ორგანიზაციის უფლებით სარგებლობს. ისიც ვიცი, რომ ჩაუბმელიც კომპარტიას ეს 400.000 კაცი ამ მართველ, სათავეში იდგა შედამბრწყინავი წრე დაახლოებით 400 კაცის შემადგენლობით, რომელიც ცალკე სოციალური ფენად ჩამოყალიბდა და კლასობრივი პრინციპები შეიძინა. ეს ელიტური ნაწილი გაბატონდა საკუთარ პარტიაზე და მისი სახელით მთელ რესპუბლიკაზე. არსებობდა პარტიული ელიტის მე-2 და მე-3 ეშელონები, მაგრამ ისინ ვერ ჰკბნდნენ პოლიტიკურ ამინდს, მათგან 1-2 პროცენტი თუ ახერხებდა, პირამიდის კიბეურობა აძრობას, ძირითად ნაწილი საკუთარ ღერძზე ბრუნავდა, პირამიდული პაკი სოციურად კარდასუოდა და პრაქტიკულად შეუღწეველი. ზოგიერთი, ჩემი ტელეფაილოგის არასწორი ანალიზიდან გამომდინარე, აკეთებს დასკვნას, რომ მე პარტიის „ეიფინმატორი“ ვარ. ჩემი „ეიფინმატორი“ ბუნება გამოიცხადა „ნიზიფეს ზრომას“. ძველი დიალექტი პარტია, რომელს ფუნქციონერთა წრე დამორდა ხალს. არსებობს ბიეროკრატიული ბიფფეი, ყოველშემქმედ ერთმპეგიზ ბედაყვეკეული „დომინოს პრინციპით“, ეს რომ დაითეროვნოს, შესაძლოა ეეანშიდა ეროვნით მოხერხდეს თვითკათარნოსის გზით. იგი ფრთებით გადაგვაჩენენდა შიდა სამოქალაქო ომისაგან. აკამდე ეს არ მოხერხდა. პარტიის ფუნქციონერთა მოელი ენერგია დაკავებულია პიროვნული ინტერესებით. ახლა ვნახოთ რას მოგვიტანს ახალი ყრილობა.

ნე ოფიციერნი, ნოსტალგია მქონდეს კომუნისტური რეჟიმისადმი. ზენიდან ისტორიკოსის და სოციოლოგიის გუფარნილობით ვეუფარენ ბენეფიციუს. ფიდი ამაკალიფსის სუფნერი ჰიერში ტრაილებს...

ფიეს პარტიას დაეყოფდი რისკიან „მოთამაშეებად“, „ბიზეტიულებად“, დაბნეულებად და დაჩქეფრეებად. ნაწილი ეიდეთ გამოდარებას, II ნაწილი ადილოობს მოკიეიე წყალში ფიეს ბალერას, III ნაწილი ცეხლის შეჭეყურებს, თითქოს ეს ყველფაფენ დალაგებული იყოს: მეოთხეები გარბენენ, ან სოროს ეძებენ, მეხუთენი ბუზღუნებენ, თავი ვერ დაუცავთ ვინც „საკუთართა“ ბატონობისაგან და ვინც ეირც შემტეკი ოპოზიციის დარტყმისაგან, მეექვსენი კოტტეტეფსაფეს ეზაფეთნან, ყაალიბებენ ალტერნატიულ კომუნისტურ ჯგუფებს. მაგ. ეკეე ანსენობს „სტალინის საზოგადოება“, ავრეფეკეი „ლენინურ-სტალინური ბოლშეკეიკური პარტია“, რომელიც ფდას 1936 წლის სტალინური კონსტიტუციის პლატფორმაზეეს. ისინი 28-ე ყრილობაზე კონსეკვატაზმის ბარცხმაკეკ ვერ შეაჩერა.

ალბათ მოგვიწეკეს პასუხისაგები წარსულის შეცდომებისთვის. ეს განცხადება ბევრს შეაშფოთებს. მართლაც, აბა რა შუაში ვარ მე 20-იანი ან ოცდაათიანი, თუნდაც 50-იანი წლების დანაშაულისათვის, რომელიც 37 წლის ტრაგედიიდან რამდენიმე წლის შემდეგ დავბადეე? მაგრამ სინდისიერ ასე არ არის. 30-იანი ან 50-იანი წლების კომეხნისტებისაგან რომ გავიმიჯნოთ, ღღეკვანდელობის პოზიცია განსხვავებული უნდა იყოს. ჩვენ კი ბანა ბოლოამდე ვებრძვით „ახალ შეცდომებს“? ბანა ყურს არ ვუყურებთ ახალი ტიპის დანაშაულებს, რიდესაც ზოგჯერ ჩვენი ბანაკიდან ადამიანები ჩადიან. ეს ბანაკი ეროვნული ბანაკია. ეროვნული ბანაკი ეროვნულ ბანაკად ეროვნული ბანაკი ეროვნული ბანაკი ეროვნული ბანაკი

გვინდა თუ არა პროფილირებული სწავლება

დღეს ძალზე ბევრს ვლაპარაკობთ სკოლის გარდაქმნაზე, იმაზე, რომ სკოლა კრიზისულ მდგომარეობაშია, ერთი სიტყვით, ცხადი გახდა, რომ სკოლამ დაკარგა ავტორიტეტი. ამიტომ ყველა იდეა, რომელიც სასკოლო ცხოვრების გარდაქმნასთან და გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული, ძალზე აქტუალურია.

ამ წერილში დასმული პრობლემა — თუ როგორი უნდა იყოს ახალი მოდელის სკოლა, უპირველესად გულისხმობს სწავლების სტრუქტურისა და შინაარსის შეცვლას. როცა ვამბობთ, რომ უნდა გაიხსნას პროფილირებული სკოლები, ბუნებრივად იბადება კითხვა:

რა განსხვავება იქნება ძირითადსა და პროფილირებულ სკოლებს შორის? უპირველესი განსხვავება ისაა, რომ ძირითად სკოლებს დაეკისრებათ ზოგადსაგანმანათლებლო ფუნქცია, ხოლო პროფილირებულ სკოლებში ისწავლიან ბავშვები რომლებსაც საერთო ინტერესები და მიდრეკილებები გააერთიანებთ... სწავლების პროფილირებული სისტემა ამაღლებს მასწავლებლის პედაგოგიურ სტიმულს, მაქსიმალურად დააკმაყოფილებს აკადემიურად ძლიერ მოსწავლეთა მოთხოვნას (შესასწავლი საგნის საფუძვლიანი დაუფლებისათვის).

პროფილირებული სწავლების მიზანია შექმნას აღზრდის ისეთი კომპლექსი, რომელიც მოსწავლეებს სწავლის მიმართ ინტერესს გაუღვივებს, მოამზადებს მათ ცხოვრებისათვის...

პროფილირებულ სწავლებაზე გადასვლა თანდათანობით უნდა მოხდეს. ამისათვის რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებმა, დროულად უნდა შეიმუშაონ ამგვარ სწავლებაზე გადასვლის ერთიანი სისტემა. ამით თავიდან ავიცილებთ შემთხვევითობასაც და ხელს შევუწყობთ სკოლის დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას.

პროფილირებულ სწავლებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა დაებადება მკითხველს:

რა განსხვავებაა ცალკეული საგნების დიფერენცირებულ და გაერთიანებულ სწავლებას შორის; რა წესით მოხდება სკოლებში დიფერენცირებული, გაერთიანებული სწავლების და ცალკეული საგნების ფაკულტატური მეცადინეობა და სხვა.

პროფილირებული სწავლების დროს შესაბამისად იზრდება პროფილური საგნების საათების რაოდენობა, რა თქმა უნდა, სხვა სასწავლო დისციპლინების ხარჯზე. ფაკულტატური მეცადინეობა დაეთმობა იმ საგნებს, რომელთა სწავლებისათვის სკოლაში უკეთესი პირობებია შექმნილი (კვალიფიციური მასწავლებელი, კარგი სასწავლო მატერიალური ბაზა, სათანადო უნარისა და მიდრეკილების მოსწავლეთა კონტინგენტი).

გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებში პროფილირებული სწავლება ხდებოდა ორი ვარიანტით — სახალხო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმით და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ორწლიანი და სამწლიანი პროგრამებით.

დღეისათვის რესპუბლიკაში 128-მდე სკოლაში დამკვიდრდა პროფილირებული სწავლება, მათგან პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის პროგრამით მუშაობს 27 სკოლა, დანარჩენი კი სახალხო განათლების საქართველოს პროგრამით მუშაობენ.

პროფილური კლასების ნაჩქარევმა ზრდამ შესამჩნევი ხარვეზებიც გამოავლინა მათ მუშაობაში. ფიზიკა-მათემატიკის პროფილირებულ სკოლებში ჩაირიცხნენ მოსწავლეები, რომლებიც ფიზიკასა და მათემატიკაში დაბალ შეფასებებს იმსახურებდნენ, ჰუმანიტარული პროფილის კლასებში კი მოხვდნენ ისეთები, რომლებმაც უცხო ენაში წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ. ამიტომ გვინდა, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ამ სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგებსა და ადგილობრივი სახალხო განათლების მუშაკებს პროფილირებული კლასების სადებულებო მოთხოვნები:

პროფილირებული სწავლების შემოღება ამა თუ იმ სკოლაში ხდება სკოლის პოტენციალური შესაძლებლობების კრიტიკული დაორმა გაანალიზების საფუძველზე:

უარესად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევა სკოლის მიერ მიზანდასახული პროფილისათვის (ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ფიზიკა-მათემატიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ფიზიკა-ტექნიკისა და სხვა, თითოეულ კლასში 26-30 მოსწავლის რაოდენობით). ამ საქმეში მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს შემთხვევითობა.

ჩარიცხვისათვის არაა საკმარისი მარტო ბავშვის და მშობლის თანხმობა, არც პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაცია. უპირველესად საჭიროა საგნის მიმართ მოსწავლის ინტერესი, მიდრეკილება. აზროვნების უნარი, საპროგრამო მასალის ცოდნა, ტესტირებისა და გასაუბრების შედეგებზე სპეციალური კომისიის დასკვნა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოსწავლე ჩაირიცხოს პროფილურ კლასში.

ხშირად სკოლის ხელმძღვანელობა უხერხულ მდგომარეობაში ექცევა იმის გამო, რომ სასწავლო წლის ბოლოს მათ უძნელდებათ შეუფერებლად ჩარიცხულ მოსწავლეთა თავიანთ სკოლებში ან კლასებში დაბრუნება. ეს კი სწავლისადმი უკეთურაქციას იწვევს.

პროფილირებული სწავლების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა კადრების სწორად შერჩევას. პედაგოგიური კადრების შერჩევა უნდა მოხდეს საკონკურსო წესით. სკოლასა და მასწავლებელს შორის განსაზღვრული ვადით (3-5 წელი) უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება და თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს პროფილური სწავლების მოთხოვნებს, ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება.

პროფილირებულ კლასებში სასურველია, მივიღოთ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ცენტრების პედაგოგ-მასწავლებლები, მეცნიერ-მუშაკები. ამისათვის უნდა ვიზრუნოთ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტებთან არსებულმა საგნობრივმა (სარაიონო, საქალაქო), მეთოდგაერთიანებებმა უნდა ჩაატარონ ლექციები, მოხსენებები, რეფერატები. მოიწვიონ სპეციალისტი მეცნიერ-მუშაკები, მეთოდისტები.

დიფერენცირებული სწავლებისათვის ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს სათანადო სპეციალური სახელმძღვანელოები, ამიტომ, ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად (რაც ამჟამად სკოლებს აქვს) უნდა გამოვიყენოთ დამხმარე ლიტერატურა. თავისი როლი უნდა შეასრულოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობამ. უნდა ჩამოვაყალიბოთ საგნობრივი წრეები, ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული მუშაობის ურთიერთშერწყმას.

სრულიადაც არ არის აუცილებელი გავსწორთ პროფილირებული კლასები იმ სკოლებში, სადაც 2-3 ცვლიანი მეცადინეობაა.

არის შემთხვევები, როცა ფართის სიმცირის გამო პროფილირებული კლასი იხსნება 15-18 მოსწავლეზე. რაიონებისა და სოფლის სკოლებში, პარალელების უქონლობის გამო კლასებს ავსებენ მეზობელი სკოლების ხარჯზე. მართალია სკოლას ამის უფლება აქვს, მაგრამ ზოგჯერ ასეთი ჩარიცხვა არაორგანიზებულად ხდება და ბევრ გართულებას იწვევს. საერთოდ პროფილირებული კლასების გახსნისას არ უნდა დაივიწყონ, რომ პროფილირებული სკოლის კურსდამთავრებული პროფესიულად ორიენტირებული და სოციალურად მომწიფებული მოქალაქე უნდა იყოს.

გელა ბიორგობაია,
ზალვა ფირცხალავა,
განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპეციალური მეთოდური ცენტრის მეთოდისტები:

ქვაზე დადებული სიკეთე

(ქართველ მაშველთა კორპუსი ირანში)

როგორც ცნობილია, ამა წლის 20 ივნისს, ღამით, ირანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის სანაპიროსთან, მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელსაც მოჰყვა ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი.

სულ რაღაც 2 დღეში, 23 ივნისს, თბილისიდან ირანში გასამგზავრებლად მზად იყო სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის პრეზიდენტი **გიორგი მეფისაშვილი**, ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრები, ქართველ მაშველთა საბჭოს წევრი, ქირურგი **რამაზ შენგელია**, ექიმ-ქირურგები — **თემურ გოგოლაძე, ასკარ ასლანიშვილი**, სამაშველო სამსახურის წევრები **თამაზ ქავთარია, მურმან ბათუაშვილი, ლექსო ოთარაშვილი, ბესიკ სიმსივე** და საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი **გიორგი წილოსანი**. ქართველ მაშველთა კორპუსმა ორი მსუბუქი და ორი სპეციალიზებული სამხიდიანი მანქანით, რომელიც ბოლნისის „კოოპერატივის „ყველგან მავალის“ თავჯდომარემ გურამ კვირაძემ გამოყო, 5 ივლისს საზღვარი გადაკვეთა.

— არ მინდა გაზვიადებულად მოგეჩვენოთ, მით უფრო, რომ ქართველები თითქოს დავეჩვიეთ ტრიუმფს და იმასაც, როცა ჩვენით აღტაცდებიან, მაგრამ საზღვარზე სანამ საბაჟო ოპერაციები და სახელმწიფო დახმარების ბარგის დაზარისხება მიმდინარეობდა, ირანის წარმომადგენელმა სპეციალური შეხვედრა მოგვიწყო. ბევრი იციან საქართველოზე (გურჯისტანზე), როგორც ძველ მეზობელ ქვეყანაზე. ჭირში მყოფთა დახმარება, ხელის გაწვდენა ოდითგან იყო ქართველი კაცის ხასიათისთვის ნიშანდობლივი. ის კი არა, ჭირის, დიდი მწუხარების ჟამს მტრებიც კი რიგდებოდნენ და ერთმანეთს მოყვრებად უდგებოდნენ... დღეს კი, როცა დამოუკიდებელ საქართველოზე ვსაუბრობთ, კეთილმოსურნე მეზობელი საშური და აუცილებელია, — გვითხრა სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი მეფისაშვილმა. ამჯერად მიწისძვრის ცენტრი საქართველოს დედაქალაქიდან 624 კილომეტრით იყო დაშორებული, ხოლო ირანის დედაქალაქიდან მხოლოდ — 600 კილომეტრით. ჩვენ კი, რომ იტყვიან, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაგვალახინეს და ათი დღის დაგვიანებით ჩავედით დანიშნულ ადგილზე. სამწუხაროა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა ზერელედ მოგვეკიდა. კონკრეტულად არ ვიცით, ვინ იყო წინააღმდეგი, მაგრამ შეიქმნა აზრი, რომ საქართველოდან ჩვენი ჯგუფი საერთოდ არ უნდა წასულიყო და ამისთვის ბევრი ცრუ არგუმენტის მოხმობა დასჭირდა მავანს და მავანს. ვისთვის შეიძლებოდა გვეთხოვა ვიზა, როცა საქმე სასწრაფოდ, ოპერატიულად ყოფა გადასაჭრელი. უარისსათქმელი არგუმენტების სიყალბეში მაშინ უფრო დავრწმუნდით, როცა საზღვარზე ასობით მანქანა ასტრახანიდან, ბაქოორიოდე საათში გადაწყვიტეს პრობლემა, სასაზღვრო ქალაქ ასტარის აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. რასულოვმა ქართველ მაშველთა კორპუსი საზღვრამდე მიაცილა.

ქართველ მაშველთა კორპუსში იყვნენ ჯგუფის ხელმძღვანელი **გოგი გრძელიძე,** სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის პრეზიდენტი **გიორგი მეფისაშვილი**, ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრები, ქართველ მაშველთა საბჭოს წევრი, ქირურგი **რამაზ შენგელია**, ექიმ-ქირურგები — **თემურ გოგოლაძე, ასკარ ასლანიშვილი**, სამაშველო სამსახურის წევრები **თამაზ ქავთარია, მურმან ბათუაშვილი, ლექსო ოთარაშვილი, ბესიკ სიმსივე** და საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი **გიორგი წილოსანი**. ქართველ მაშველთა კორპუსმა ორი მსუბუქი და ორი სპეციალიზებული სამხიდიანი მანქანით, რომელიც ბოლნისის „კოოპერატივის „ყველგან მავალის“ თავჯდომარემ გურამ კვირაძემ გამოყო, 5 ივლისს საზღვარი გადაკვეთა.

— არ მინდა გაზვიადებულად მოგეჩვენოთ, მით უფრო, რომ ქართველები თითქოს დავეჩვიეთ ტრიუმფს და იმასაც, როცა ჩვენით აღტაცდებიან, მაგრამ საზღვარზე სანამ საბაჟო ოპერაციები და სახელმწიფო დახმარების ბარგის დაზარისხება მიმდინარეობდა, ირანის წარმომადგენელმა სპეციალური შეხვედრა მოგვიწყო. ბევრი იციან საქართველოზე (გურჯისტანზე), როგორც ძველ მეზობელ ქვეყანაზე. ჭირში მყოფთა დახმარება, ხელის გაწვდენა ოდითგან იყო ქართველი კაცის ხასიათისთვის ნიშანდობლივი. ის კი არა, ჭირის, დიდი მწუხარების ჟამს მტრებიც კი რიგდებოდნენ და ერთმანეთს მოყვრებად უდგებოდნენ... დღეს კი, როცა დამოუკიდებელ საქართველოზე ვსაუბრობთ, კეთილმოსურნე მეზობელი საშური და აუცილებელია, — გვითხრა სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი მეფისაშვილმა. ამჯერად მიწისძვრის ცენტრი საქართველოს დედაქალაქიდან 624 კილომეტრით იყო დაშორებული, ხოლო ირანის დედაქალაქიდან მხოლოდ — 600 კილომეტრით. ჩვენ კი, რომ იტყვიან, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაგვალახინეს და ათი დღის დაგვიანებით ჩავედით დანიშნულ ადგილზე. სამწუხაროა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა ზერელედ მოგვეკიდა. კონკრეტულად არ ვიცით, ვინ იყო წინააღმდეგი, მაგრამ შეიქმნა აზრი, რომ საქართველოდან ჩვენი ჯგუფი საერთოდ არ უნდა წასულიყო და ამისთვის ბევრი ცრუ არგუმენტის მოხმობა დასჭირდა მავანს და მავანს. ვისთვის შეიძლებოდა გვეთხოვა ვიზა, როცა საქმე სასწრაფოდ, ოპერატიულად ყოფა გადასაჭრელი. უარისსათქმელი არგუმენტების სიყალბეში მაშინ უფრო დავრწმუნდით, როცა საზღვარზე ასობით მანქანა ასტრახანიდან, ბაქოდან თუ ბევრი სხვა ქალაქიდან ყოველგვარი ვიზისა და დოკუმენტაციის გარეშე გადიოდა. ხოლო გერმანიის სამხედრო საველე ჰოსპიტალი, პაკისტანის წითელი ნახევარმთვარის ჰოსპიტალი, საფრანგეთისა და ინგლისის საექიმო კონსულტაციები შემთხვევიდან მეორე დღეს მიწისძვრის რაიონებში იყვნენ, კომენტარებისაგან თავს ამჯერადაც შევიკავებთ.

ქალაქ რეშტის სამხარეო ჰოსპიტალში საზღვარგარეთელ კოლეგებთან ერთად არაერთ ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა ქართველმა ქირურგებმა — ქირურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა რამაზ შენგელიამ, გიორგი წილოსანმა, თემურ გოგოლაძემ, ხოლო მირზა ქუჩიკის სახელობის სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში კატასტროფის შემდგომი სინდრომის მოხსნაზე კონსულტაციებს ატარებდა გიორგი მეფისაშვილი, ფაქტიურად თარჯიმნის გარეშე იმუშავეს ქართველებმა, რადგან უმრავლესობა ინგლისურ და გერმანულ ენაზე საუბრობდა. მიწისძვრის რაიონებში აღდგენითი სამუშაოები პარალელურად დაწყებულიყო. ქართველ მაშველთა კორპუსში პროფესიით ინჟინერ-არქიტექტორებიც იყვნენ და ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა საბავშვო ბაღის პროექტის შექმნა შესთავაზეს.

— ჩვენ შეგვეძლო იქვე მხოლოდ ესკიზი გაგვაკეთებინა, აქედან კი პროექტი უნდა გაგვეგზავნა. საქართველოს მთავრობის იმედი ვერ დავიტოვეთ, ვიცოდით კვლავ დიდ სირთულეებს მოგვიგონებდნენ და ამდენად მოტყუებული რომ არ დაგვრჩენოდნენ მეზობლები, იქვე უარის თქმა ვამჯობინეთ — გვითხრა არქიტექტორმა თამაზ ქავთარიამ.

ქალაქ რეშტის ქართველებს მასპინძლად მოვლენია იმავე ქალაქის მკვიდრი, ერთადერთი ქართველი, აგროსამრეწველო კომპლექსის ლაბორატორიის უფროსი მაჰმუდ ასპანაშვილი. მალე ფერეიდნელი ქართველებით გავსებულა სასტუმრო, სადაც ქართველ მაშველთა კორპუსი იყო დაბინავებული. ეს შეხვედრა შეიძლება სხვა დროის სასაუბროდ გადავდოთ, ვიტყვით ერთს, რომ საქართველოს მონატრებულებთან საუბარს ბოლო არ ჰქონდა, საქართველოდან წაღებული ბევრი სუვენირი, ეროვნული დროშები და საჩუქარი გადასცეს იქაურებს. მერე კი ფერეიდნელ ქართველს ნიკოლოზ ბათუაშვილს თეთრ ფურცელზე საგულდაგულოდ გამოუყვანია ქართული ასოები და წერილი მოუწერია.

ქართველ მაშველთა კორპუსის შესახებ დაიწერა ირანულ პრესაში, სპეციალური სიუჟეტი მოამზადა ტელევიზიამ, ირანის რადიომ გადასცა ინტერვიუ ქართველ ექიმებთან. ირანის მთავრობამ ქართველ მაშველთა კორპუსს მადლობა გადაუხადა თანადგომისა და ქველმოქმედებისათვის.

ნინო კვაჭანტირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულს თუ დავეკითხებით

ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილი სამართლიანად სვამს კითხვას და ითხოვს პასუხს ქართველ ისტორიკოსთაგან შემდეგ საკითხზე: რატომაა, რომ ჩვენი წინაპრები მშვენივრად ახერხებდნენ საქართველოში მცხოვრებ არაქართველებთან ურთიერთობას ისე, რომ არასოდეს არავითარი ეთნოკონფლიქტი არ მომხდარა, ხოლო ჩვენს ხანაში კი მდგომარეობა შეიცვალა და ერთა ურთიერთობანი დაიძაბა (მხედველობაში გვაქვს საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარის პროფ. ნ. ნათაძის გამოსვლა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის განხილვისას 24 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე).

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას წინამდებარე წერილი, რა თქმა უნდა, ვერ ითავებს. მას შეუძლია პოტენციური პასუხის მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი გააშუქოს ეთნოგრაფის პოზიციიდან, რადგან ისეთ მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორიც საქართველო იყო და არის, ამას განაპირობებდა მრავალთა შორის მრავალი მიზეზი. მათგან მთავარ და გადამწყვეტ მიზეზად, წერილის ავტორის ღრმა რწმენით, რჩება ის, რომ ისტორიულ საქართველოში შემუშავებული იყო და ფუნქციონირებდა სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოს მიღება-დასახლების, მასთან ურთიერთობის მექანიზმი და განსაზღვრული იყო მისი (უცხოს) სოციალური სტატუსი. დროთა განმავლობაში, ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, ეს მექანიზმი მოშალა და მხოლოდ წერილობითმა წყაროებმა და ხალხურმა ყოფითმა ტრადიციამ შემოგვინახა დღეიდან (ამ მექანიზმის მოქმედების შესახებ, მაგ., საქართველოს მთიანეთის საზოგადოებებში თითქმის XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე, ჩვენ ვრცლად ვილაპარაკეთ საგანგებო წერილში, რომელიც დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1989 წლის 7 ნოემბრის ნომერში). თავისი კონსტრუქციით ეს მექანიზმი მისაღები და ხელსაყრელი იყო ორივე მხარისათვის: როგორც უცხოსათვის, რომელსაც სამოსახლო, საცხოვრებელი ადგილი სჭირდებოდა (**დროებით** ან **მუდმივად**), ასე დამხვდურისათვის, რომელიც უცხოს თავის მიწა-წყალზე განსაზღვრული პირობით იღებდა. მაგ., XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის ცნობით, ძველად საქართველოში ქართლის ხელისუფალთ (კერძოდ მცხეთის მამასახლისს) ქვეყანაში მიეღიათ და დაუსახლებიათ თურქები, ბერძნები, ასურები და ხაზარები იმ პირობით, რომ ისინი ააშენებდნენ ახალ ქალაქებს, ხოლო უკვე არსებულთ გაამაგრებდნენ, რადგანაც სპარსთა შემოსევის შიში ჰქონიათ („რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა“). მაგ., თურქებს აუშენებიათ სარკინე („აღაშენეს სარკინე“), გაუმაგრებიათ სხვადასხვა ციხე-ქალაქი („აშაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა“ — ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 15). იგივე ლეონტი მროველი ჩვენს ქვეყანაში ებრაელთა დასახლების შესახებ წერს: „...ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისგან ქუეყანა **ხარკითა**. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის“ (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 15-16). 1118 წ. დავით აღმაშენებელმა საქართველოში ჩამოასახლა და სანაპიროებში (ჰერეთი, ქვემო ქართლი, ჩრდ. სომხეთი) დაასახლა ყივჩაღთა 40000 ოჯახი (**ხამზედრო ვალდებულების (თუ ბეგარის)** პირობით. ყივჩაღთა ყოველ ოჯახს თითო მოლაშქრე უნდა გამოეყვანა — სულ 40000 მხედარი. XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალებით აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში უცხოს (როგორც ქართველის, ასევე არაქართველის) მიღება და თემის მიწა-წყალზე მისი დასახლება ხდებოდა ე. წ. **ადგილის ბეგარის პირობით.**

ქართული ხალხური ტრადიციისათვის (და არა მარტო ქართული) დამახასიათებელია საზოგადოებაში (ოჯახში, სოფელში, თემში, ქვეყანაში) უცხოს მიღების ისტორიულად ჩამოყალიბებული რამოდენიმე **ძირითადი** წესი. ამასთან დაკავშირებით ხალხის ყოფაში შემუშავებულია სტუმარმასპინძლობის (როგორც მთაში, ასევე ბარში), ხიზნობის (ბარში, მთაში ხიზანი ოჯახის მნიშვნელობით იხმარება), ამანათობის (მთაში) მკვიდრობისა და მოსულობის (მთასა და ბარში) წესები. თანამედროვე ყოფის პირობებში, ეს ტრადიციები ყველა კავკასიელი ხალხის მეხსიერებაშია დალექილი.

სტუმარი, ხიზანი და ამანათი უცხო მოსახლეობის ის კატეგორიაა, რომელიც სხვის ტერიტორიაზე **დროებით** (განსაზღვრული ვადით) იმყოფება, დროებით სახლობს. მაგ., სტუმრის სტატუსი ხალხური პოეზიის ამ შესანიშნავი ნიმუშიდანაც კარგად ჩანს:

„დგომამც ქნა შავის ლუდისა,
გათავდას — წესიმც არ იყვა.
მოსვლაი თქვენფერ სტუმართა,
წასვლაიმც წესი არ იყვა“.

ანდა:

„დილით ოქრო ხარ სტუმარო,
საღამოს ვერცხლად იქცევი,
თუ წასვლას დაგვიანებ,
სპილენძად გადაიქცევი“.

სტუმარი დროებით იმყოფებოდა სხვის ოჯახში, სოფელში, თემში, ქვეყანაში და იგი ძალე უკანვე უნდა წასულიყო.

ხიზანი ძველი გაგებით ნიშნავს **დროებით** სხვას შეკედლებულ პირს მტრის შემოსევის, ან ავადმყოფობის გავრცელების დროს. ცნობილია ხიზანის მნიშვნელობაც ფეოდალურ საქართველოში. რეფორმამდელ ხანაში ხიზნებად იწოდებოდა გლეხთა განსაზღვრული კატეგორია, რომელმაც დასტოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და უცხო გარემოში — სხვა მემამულესთან ჰპოვა **დროებითი** თავშესაფარი. ამ მემამულისგან იგი იღებდა მიწას დროებითი სარგებლობის უფლებით, ითვლებოდა იურიდიულად თავისუფალ პირად და მიწაზე გადასახადს იხდიდა. ხიზანი ეწოდებოდა აგრეთვე ყმა-გლეხთა იმ კატეგორიას, რომელსაც ფეოდალი თვითთხ გადასცემდა სხვა ფეოდალს, მაგრამ ინარჩუნებდა მისი უკან დაბრუნების უფლებას. რაც შეეხება ხიზანის ოჯახის მნიშვნელობით ხმარებას მთიელებში (ბარში ჩამოსახლებული მთიელებიც კი დღესაც ასე გვაცნობენ თავიანთ ოჯახს: „გაიცანით, ჩემი ხიზანიაო“), იგი სათავეს იღებს შორეულ წარსულში, საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე. შემთხვევითი არაა ის ამბავი, რომ ამ სიტყვას ოჯახის მნიშვნელობით მხოლოდ მთიელი ხმარობს. ცნობილია, რომ მთიანეთი თავისი საზოგადოებრივი განვითარებით ჩამორჩებოდა ბარს. ამიტომ ამ რეგიონმა უფრო ნათლად შემოგვინახა საზოგადოებრივი განვითარების ადრეული საფეხურებისათვის (მაგ., პატრიარქალურ-გვაროვნული საზოგადოებისათვის) დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. საქმე იმაშია, რომ საქართველოს მთიანეთში, განსხვავებით ბარისგან, მდედრობითი სქესის მოსახლეობას წილი არ უდევს საოჯახო ქონებაში, ანუ როგორც მთიელი იტყვის, „ქალს წილი არა აქვს წილნაწილში“, ანუ ადგილ-მამულში. აქაური ჩვეულებითი სამართალი ქალს მემკვიდრედ არა სცნობს. ასევე წილი არა აქვს საოჯახო ქონებაში დედ-მამას, უძრავ-მოძრავი ქონება ვაჟიშვილებს ეკუთვნით სრულწლოვანების ასაკში. გაყრისას საოჯახო ქონებას ვაჟიშვილები იყოფენ თანაბრად და მხოლოდ უფროს ძმას ეკუთვნის „საუფროსო“. დედ-მამას შვილები ინახავენ და არჩენენ მორიგეობით. ამიტომ, როდესაც მთიელი თავისი ოჯახის შესახებ გეუბნებათ ჩემი ხიზანიაო, გასაგებია ის შინაარსი, რომელსაც იგი სდებს მასში, უფრო სწორად, რა შინაარსიც იგულისხმებოდა მასში ერთ დროს. ოჯახის ხიზნობით მოხსენიებაში ჩანს ოჯახის უფროსი მამაკაცის ძველი, შეუვალი უფლებები, როგორც საოჯახო ქონების ერთადერთი მესაკუთრისა. ცხადია, ოჯახის დანარჩენი წევრები (ცოლი, დედ-მამა, მცირეწლოვანი შვილები) მისი ხიზნები იყვნენ. ეს მოვლენა კიდევ ერთი დამატებითი შტრიხია ხიზნის სოციალური ბუნების გასხნისათვის.

ამანათი მთიანეთში არის სხვადასხვა მიზეზით (მკვლელობა, სიღარიბე, მოკვეთა და ა. შ.) თავის თემიდან ოჯახთან ერთად წამოსული და უცხო თემში **დროებით** (განსაზღვრული ვადით) თავშეფარებული პირი (მკვლელი — სანამ მოკლულის ნათესავებს შეურიგდებოდეს; ღარიბი — სანამ მისი ოჯახი ცოტათი სულს მოიბრუნებდეს; მოკვეთილი — სანამ თავის სოფელ-თემობას შეურიგდებოდეს და ა. შ.). ამანათს მიწას დროებით სარგებლობაში აძლევდნენ, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ, იცავდნენ და მფარველობდნენ. სამაგიეროდ ამანათი თავისუფალ დროს ეხმარებოდა ძათ სხვადასხვა საქმეში, მწყემსავდა საქონელს და ა. შ. ამანათს, როგორც თემის გარეთ მდგომ პირს და მის დროებით მაცხოვრებელს, მთავრებულ პროცესს გამოხატავს. მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში არის მოსახლეობის ის კატეგორია, რომელიც მოვიდა და დასახლდა სხვის მიერ უკვე დაკავებულ სხვის კუთვნილ, ანუ მკვიდრის ტერიტორიაზე. მოსული არის ამა თუ იმ ადგილის მუდმივი მცხოვრები, მიწის მემკვიდრეობითი მფლობელი (**განსაზღვრული პირობით**), მაგრამ მკვიდრთან შედარებით შეზღუდული მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების მქონე. გარდა ადგილის ბეგარისა, მკვიდრი მოსულს სხვა პირობასაც უყენებს: მოსული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი წეს-სარწმუნოების პატივისმცემელი, დამცველი — შემსრულებელი და სოფელ-თემობის პირის არგამტეხი. განსაკუთრებული ერთგულებით თავის გამოჩენის შემთხვევაში მოსული მკვიდრის კატეგორიაში გადაჰყავდათ. მოსულის კატეგორიის მოსახლეობას ქმნიდნენ: სხვადასხვა მიზეზით (მიწის სიმცირე, დაბალი ეკონომიკური დონე და სხვ.) ერთი ადგილიდან სამუდამოდ აყრილი და წამოსული როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ეთნიკური კუთვნილების პირნი; ის ამანათები, რომლებიც ვერ შეურიგდნენ ძველ თემს, ბარიდან ბატონს გამოქცეული ყმები; შემოხიზნულნი, რომლებიც აღარ დაბრუნდნენ თავის ძველ საცხოვრებელში და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგებია ის მიზეზები, რის გამოც მოსულის კატეგორიის მოსახლეობას ხალხი არც სტუმრობით, არც ხიზნობით და არც ამანათობით არ მოიხსენიებდა, რადგან ასეთი მიმართვა შეურაცხყოფის ტოლფასი იყო. დღესაც, ამიტომ, მიზანშეუწონლად მიმაჩნია საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე დასახლებული უცხო ეთნიკური მოსახლეობის სტუმრობით, ხიზნობით მოხსენიება, მათი სტუმრისა და ხიზნის სტატუსით განსაზღვრა.

უცხოს მიღება-დასახლების მექანიზმი აკონტროლებდა და არეგულირებდა როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე, ასევე საგარეო ფაქტორთან დაკავშირებულ მშვიდობიან მიგრაციულ პროცესებს. ამასთან იგი თანაბარი ძალით, ერთნაირი წესით ამოქმედდებოდა ხოლმე ქართველის თუ არაქართველის სტუმრობისას; შიშიანობის თუ ერთბაშად აფეთქებული ეპიდემიების დროს ქართველი თუ არაქართველი მოსახლეობის აყრისა და სხვაგან შეხიზნვისას; ქართველის თუ არაქართველის სოფლიდან სოფელში, თემიდან თემში, რეგიონიდან რეგიონში სხვადასხვა მიზეზით საცხოვრებლად გადასვლისას (დროებით, თუ მუდმივად), უცხო ეთნიკური მოსახლეობის ჩამოსახლებისას. ასე რომ, უცხოს მიღების წესი ერთი და იგივე იყო ქართველისა თუ არაქართველისათვის. **სტუმარი, ხიზანი, ამანათი, მოსული** ქართველიც შეიძლებოდა ყოფილიყო და არაქართველიც. ამავე დროს ეს იყო საერთოკავკასიური წესი. დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად ქართველიც გადადიოდა ჩრდილო კავკასიის ხალხებში და უცხოს მიღების იმავე წესს ემორჩილებოდა. ამიტომ ეს წესი ერთნაირად მისაღები და ხელსაყრელი იყო ყველა კავკასიელი ხელხისათვის. საერთოკავკასიურობის მიუხედავად, ეს წესი უნარჩუნებდა თითოეულ კავკასიელ ხალხს თავისთავადობას, თვითმყოფადობას, ეროვნულ სახეს. იგი უზრუნველყოფდა ძოსულის იმ კულტურულ სამყაროსთან შეზრდას, რომლის გარემოცვაშიც იგი ექცეოდა. ამდენად, ადგილი სერიოზული დაპირისპირებისა ან კონფლიქტისათვის მკვიდრსა და მოსულს შორის არ რჩებოდა. დრომ და ვითარებამ კავკასიელ ხალხს — ქართველი იქნება ეს, აფხაზი, ოსი, ჩეჩენი, ლეკი თუ ჩერქეზი და ა. შ. — საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცხოვრების თავისი წესი წაართვა — მოუშალა და სიმშვიდე დააკარგვინა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები უცხო ეთნიკური მოსახლეობის უმეტესობა სწორედ იმ დროსაა საქართველოში ჩამოსახლებული, როდესაც უცხოს მიღების ზემოთ აღწერილი წესები ძალაში იყო და ფუნქციონირებდა. ქართველ ხალხს აქვს იურიდიული უფლება მათ თავისი ძველი სტატუსი (მოსულის სტატუსი) დაუბრუნოს (ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად დაჰყოს მოსახლეობა მკვიდრად და არამკვიდრად). მიუხედავად ამისა, ეროვნულ მოძრაობაში გაერთიანებული არცერთი პარტიისა თუ ორგანიზაციის პროგრამა ამას არ ითვალისწინებს. პირიქით, ეს პროგრამები ერთხმად აცხადებენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ისარგებლებს თანაბარი უფლებებით. ქართველი ხალხი იბრძვის ჭეშმარიტად დემოკრატიული, ხამდვილად თავისუფალი და ჭეშმარიტი საზოგადოების შექმნისათვის. საქართველოს არაქართველმა მოსახლეობამ ინტერფრონტი კი არ უნდა შექმნას (რადგან ეს ღია კარის მტვრევას ჰგავს), არამედ ქართველი ხალხის ეს სიკეთე დაინახოს, სათანადოდ დააფასოს და მხარში ამოუდგეს მას დამოუკიდებლობისათვის მოძრაობაში.

ეუფუნა ერიაშვილი

ავტორის თხოვნით, ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

პრობლემა: ტოქსიკური ნარჩენები

„სამრეწველო ტოქსიკური ნარჩენების უტილიზაციის, გაუვნებლობის და დამარხვის პრობლემები ძალზე მწვავედ დგას რესპუბლიკაში. ცხადია, ყოველმა ჩვენგანმა შესაძლო წვლილი უნდა შეიტანოს ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში.

მართლაც, რა კეთდება ტოქსიკური ნარჩენების გაუვნებლობისათვის? სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა თათბირი, რომელიც ამას წინათ გაიმართა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ინიციატივით სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტოქსმეორეულგადამუშავების“ ბაზაზე.

რესპუბლიკის სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტოქსმეორეულგადამუშავების“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ ისაუბრა თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ამჟამად და რა აქვთ პერსპექტივაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ქუთათელაძემ დამსწრეთ მოუთხრო კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

ძალზე მწვავე სიტუაციაა შექმნილი ქალაქ კასპის მიმდებარე ტერიტორიაზე, აქ მოქმედი ცემენტის ქარხნის გამო.

ქარხანა აქამდე უნდა დახურულიყო, მაგრამ გაითვალისწინეს რა მოსახლეობის უდიდესი მოთხოვნილება წარმოებულ პროდუქციაზე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ნება დართო ქარხანას ემუშავა ამა წლის სექტემბერ-ოქტომბრამდე. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ფალავამ სწორედ ქარხნის მიერ წამოჭრილ ეკოლოგიურ სიძნელეებზე ისაუბრა.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა არჩილ კოსტავამ დამსწრეთ გააცნო ინსტიტუტის მიერ გაწეული მუშაობა სამრეწველო ტოქსიკური ნარჩენების გადამუშავების საქმეში.

თათბირის მონაწილე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „მან“-ის წარმომადგენლებმა, ფირმის დირექტორმა ოლლ ჰარტმა და კომერციულმა დირექტორმა შპახტ ჰოლტმა ყურადღება გაამახვილეს ფირმასა და გაერთიანება „საქტოქსმეორეულგადამუშავებას“ შორის დადებული ხელშეკრულების, აგრეთვე თხევადი, მყარი და პასტისმაგვარი სამრეწველო ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარების თაობაზე.

სამრეწველო ტოქსიკური ნარჩენების უტილიზაციის, გაუვნებლობის და დამარხვის პოლიგონების პროექტირებისა და შექმნის ძირითად ტექნიკურ გადაწყვეტილებებსა და კონცეფციებზე საბჭოთა კავშირში ისაუბრა საქართველოში მშენებარე ობიექტის პროექტის ხელმძღვანელმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ნიკოლოზ სტეპმა.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა დისკუსია. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, საწარმოთა ხელმძღვანელები. თათბირზე დაისვა მრავალი კითხვა, რომელთაც იქვე სრულად და ამომწურავად გაეცა პასუხი.

ვაია ალიერაშვილი,
ლალა იაკობაშვილი



პროგნოზები, პროგნოზები...

1990 წელი მსოფლიოს ხაფეხბურთო ცხოვრებაში იტალიის სტადიონებზე გამართული XIV ჩემპიონატით დაიწყო. არა ერთი ცნობილი სპორტული გამოცემა მსოფლიო ჩემპიონატის წინ თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდა სპეციალისტებსა და წარსულის გამოჩენილ ტყავის ბურთის ოსტატებს, რომლებიც ჩეტად ხალინტერესო და ამასთან, უცნაურ პროგნოზებსაც აკეთებდნენ. ასე მაგალითად, 80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთმა ხაუკეთესო ცენტრალურმა მცველმა დანიელ პასარელამ კამერუნის ნაკრები XIV ჩემპიონატის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად მიიჩნია... ერთ-ერთმა კომპიუტერმა კი მსოფლიო ჩემპიონად ესპანეთის ნაკრები დასახელა.

უველაზე საინტერესო პროგნოზები კი (ოცტა იუმორისტული ფორმითაც), ჩვენი აზრით, პოპულარულმა ფრანგულმა ხაფეხბურთო ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა.

მაშ ასე, როგორი იქნება „ფრანს ფუტბოლის“ აზრით ფეხბურთი 80-იანი წლების მიწურულს და XXI საუკუნის დასაწყისში?

მარადონა კერძო დეტექტივის როლში?..

... მსოფლიოს XIV ჩემპიონატის პირველ მატჩში კამერუნის ნაკრებს არგენტინელებთან უნდა გაემარჯვა ანგარიშით 3:2, ხოლო მერვედფინალში იტალიის ნაკრები მარცხდებოდა ირლანდიელებთან — 0:1. ფინალში, სადაც ერთმანეთს ბრაზილიისა და ჰოლანდიის ნაკრებები უნდა შეხვედროდნენ, უპირატესობა სამხრეთამერიკელთა მხარეს იქნებოდა და ბრაზილიელთა ტექნიკური თუ ტაქტიკური უპირატესობა ანგარიშშიც უნდა გამოხატულიყო — 2:0 (როგორც მკითხველი ხედავს, „ფრანს ფუტბოლის“ პროგნოზები, მთლიანობაში, არ გამართლდა).

ახლა კი, ცოტათი მომავლისაკენაც გავიხედოთ.

1991 წელი ინგლისის კლუბების ევროპის საკლუბო ტურნირებზე ტრიუმფალური დაბრუნებით უნდა აღინიშნოს. ინგლისელთა საუკეთესო გუნდი „ლივერპული“ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში დაამარცხებს საფრანგეთის „მარსელს“ — 2:1 და ამ წაგებით „მარსელის“ პრეზიდენტი ბერნარ ტაპი იძულებულია დატოვოს გუნდი, თავისი ძალები კი პოლიტიკაში სცადოს — საფრანგეთში ქმნის ახალ პარტიას. ამის პარალელურად დიეგო მარადონა ტოვებს „ნაპოლის“ და ბრუნდება არგენტინაში, რათა დაეხმაროს არგენტინის პრეზიდენტს კარლოს მენემს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში.

1992 წელი — ევროპის ჩემპიონატის ფინალი. ჰოლანდია-იუგოსლავია — 1:0. მარკო ვან ბასტენს გადამწყვეტი ბურთი გააქვს ტურნირზე, რომელზედაც დაცვითი ფეხბურთი იმარჯვებს შემტევ სტილზე. იმავე წელს ფიფა იღებს გადაწყვეტილებას, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდეს საფრანგეთში. ამ დროს, საფრანგეთის ნაკრები მარცხდება რა შესარჩევ მატჩში მალტის ნაკრებთან ანგარიშით 0:1, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების მიმდინარეობა. მათი მწვრთნელი მიშელ პლატინი გადადგება თავისი პოსტიდან და გადადის ტურინის „იუვენტუსში“.

1994 წლიდან ევროპის საკლუბო ტურნირები თამაშდება ბერლუსკონის პრინციპით სამ ლიგად, ხოლო ამ წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც აშშ-მა უნდა უმასპინძლოს, სსრკ-ს გამარჯვებით მთავრდება. ფინალში ისინი ბრაზილიელებს ამარცხებენ ანგარიშით — 2:0.

ახალი ქვეყნების (ავსტრიაუნგრეთი, გაერთიანებული გერმანია და სხვა), წარმოქმნის შედეგად ფიფა უარყოფს შესარჩევი ჯგუფების გეოგრაფიული პრინციპებით დაყოფას.

1996 წლის ევროპის ჩემპიონი რუმინეთის ნაკრები ხდება, რომელიც ფინალში გერმანიის ნაკრებს ამარცხებს — 1:0. ამ ერთადერთი გოლის ავტორი ლორინ რადუჩიოუ იქნება, ხოლო რუმინელთა მეათე ნომერი დანიელ ტიმოფტი გამოცხადდება მარადონას მემკვიდრედ.

1997 წელი ძალზედ გაანაწყენებს ტურინის „იუვენტუსის“ გულშემატკივრებს, რადგანაც მათი საყვარელი გუნდი ჰკარგავს ადგილს იტალიის პირველ ლიგაში და ამასთანავე ფირმა „ფიატის“ სპონსორობასაც. ეს ფაქტი საბოლოოდ აუხელს თვალს მიშელ პლატინის იმის თაობაზე, რომ მწვრთნელობა მისი საქმე არ არის. პლატინი საერთოდ მიდის ფეხბურთიდან და პარიზში ხსნის იტალიურ რესტორანს.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია იქნება იტალიელთა დამარცხება მალავის ნაკრებთან — 0:1. საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში გამოჩნდება მსოფლიო მასშტაბის ახალი ვარსკვლავი ანტუან კლერკი, ვისი მეშვეობითაც ამ ქვეყნის ნაკრები ფინალში ხანგრძლივი (3 საათი და 27 წუთი) ბრძოლის შემდეგ ამარცხებს გერმანიის ნაკრებს — 5:4.

1999 წელი შედარებით ნაკლებად საინტერესო იქნება მსოფლიო ფეხბურთში. წინადადებას იმის თაობაზე, რომ გუნდების შემადგენლობაში ორ-ორმა ქალმა ითამაშოს, უარყოფენ. მსაჯები მიიღებენ უფლებას ფეხბურთელები გააქეონ 10-12 წუთით.

2000 წელი. როგორ ხვდებიან 21-ე საუკუნეს თანამედროვე ფეხბურთის მთავარი მოქმედი პირები? პელე ბრაზილიის პრეზიდენტი ხდება, ბერნარ ტაპი — საფრანგეთისა. ტაპის მარჯვენა ხელი მთავრობაში ხდება მიშელ იდალგო. „მილანის“ მფლობელს, სატელევიზიო მაგნატს სილვიო ბერლუსკონის „ევროვიდეოვის“ პრეზიდენტად აირჩევენ. დიეგო მარადონა ეყრება თავის ცოლს და რომანი ექნება ფრანგ კინომსახიობთან ბეატრის დალთან. ამასთან მარადონა აკეთებს თავბრუდამხვევ კარიერას კინოში, თამაშობს რა ერთ-ერთ ფილმში, კერძოდ, დეტექტივის როლს. ამ დროს „ოქროს ბურთის“ შეიდგზის მფლობელი, 35 წლის მარკო ვან ბასტენი ამთავრებს თავის შესანიშნავ სპორტულ კარიერას ნაკლებადცნობილ კორსიკის კლუბში „ა. ს. კორსი“, სადაც უკანა ცენტრალური მცველის ფუნქციებს შეასრულებს.

განცხადებები

ქუთაისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დღის სწავლების განყოფილება

1. არასრული საშუალო განათლების ბაზაზე

1. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

2. საშუალო განათლების ბაზაზე:

1. სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა;
2. სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟი;
3. კვების წარმოების მოწყობილობების ექსპლუატაცია და რემონტი;
4. საწარმოთა და სამოქალაქო ნაგებობათა ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ექსპლოატაცია
5. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის წარმოება;
6. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
7. ხე-ტყის დამზადება და მერქნის ტრანსპორტი;
8. ხის დამუშავების ტექნოლოგია.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

საშუალო განათლების ბაზაზე:

1. სამრეწველო მოწყობილობების მონტაჟი;
2. საწარმოებისა და სამოქალაქო ნაგებობების ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ექსპლოატაცია;
3. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის წარმოება;
4. ხის დამუშავების ტექნოლოგია.

საღამოს სწავლების განყოფილება

1. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

ტექნიკუმში სასწავლებლად მიიღებიან დღის სწავლებაზე 30 წლის ასაკამდე, ხოლო საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე ასაკის განუსაზღვრელად.

განცხადებები მიიღება: დღის განყოფილებაზე — 31 ივლისამდე, საღამოს განყოფილებაზე—15 სექტემბრამდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე 10 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება თანდართული ნიმუშით;
2. საბუთები არასრული საშუალო და საშუალო განათლების შესახებ (დედანი);
3. სამედიცინო ცნობა ფორმა № 086/უ;
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნის წიგნაკიდან დამოწმებული ადმინისტრაციის მიერ (წარმოადგენენ ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე საღამოს და დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელნი);
5. ფოტოსურათი საბუთებისთვის ზომით 3X4 სმ გადაღებული უქუდოდ;
6. პასპორტი (დაბადების მოწმობა, საბუთი სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ) პირადად წარედგინება მიმღებ კომისიას.

არასრული საშუალო განათლების ბაზაზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამების მიხედვით შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — წაკითხული ტექსტის მიხედვით შინაარსი);
2. მათემატიკა (ზეპირი);

საშუალო განათლების ბაზაზე შემსვლელები აბარებენ გამოცდებს:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (თხზულება);
2. მათემატიკა (ზეპირი).

სწავლების ვადა დღის განყოფილებაზე არასრული საშუალო განათლების ბაზაზე 3 წელი და 10 თვე. საშუალო განათლების ბაზაზე 2 წელი და 10 თვე. საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 3 წლამდე.

არასრული საშუალო განათლების ბაზაზე ჩარიცხულები ტექნიკუმში სწავლების პერიოდში სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადებით.

შენიშვნა: ტექნიკუმში ჩარიცხულებს ეძლევათ სტიპენდია საერთო წესის მიხედვით. შემსვლელებს დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ ტექნიკუმში.

მისამართი: ჯავახიშვილის ქ. № 5 ტელეფონები: 6-19-17, 6-19-61, 6-17-76.

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების პონორარი გადაირიცხება ხოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700408 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.

თბილისის № 150 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი პროფესიის სპეციალისტებს:

1. ქიმიური ანალიზის ლაბორანტი;
2. მეგალვანე;
3. რადიოაპარატურისა და ხელსაწყოების მემონტაჟე;
4. ელექტრომოწყობილობ ე ბ ის მომსახურე ელ. მემონტაჟე.
5. მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკალი;
6. ავტოშემკეთებელი (მსუბუქი და სატვირთო მანქანები).

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის ახალგაზრდები 30 წლამდე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 30-80 მანეთი სპეციალობის მიხედვით, ფრიადოსნებს 25%-ით მეტი.

სასწავლებლის დამთავრებისთანავე ყველა კურსდამთავრებულს უფლება ეძლევა მისაღები გამოცდები ჩააბაროს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ნებისმიერ სპეციალობაზე.

ხოლო წარჩინებით კურსდამთავრებულები სარგებლობენ ერთი საგნის ჩაბარების უფლებით მაპროფილებელ სპეციალობებზე, კერძოდ:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ქიმიური და ფიზიკური ფაკულტეტები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — საავტომობილო საგზაო, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, საინჟინრო ფიზიკური, კავშირგაბმულობის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ენერგეტიკის, ელექტრომექანიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტები.

პედაგოგიური ინსტიტუტი — ზოგადტექნიკის ფაკულტეტი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — აგროქიმიური, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ფაკულტეტები.

შენიშვნა: წარჩინებით კურსდამთავრებული ვაჟები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქიმიური ტექნოლოგიისა და ენერგეტიკულ ფაკულტეტებზე, ასევე ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და ინდუსტრიულ პედაგოგიურ ტექნიკუმში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით საბაზო ორგანიზაციაში.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად და შეადგენს 10 თვეს.

სასწავლებელში მიღება შეწყდება სპეციალობის შევსების დღიდან.

რაიონიდან ჩამოსულებმა უნდა წარმოადგინონ მომართვა ორგანიზაციიდან ან აღმასკომებიდან.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებელში.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად:

1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი);
2. დაბადების მოწმობა (დედანი);
3. სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა;
4. შრომის წიგნაკი.
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
6. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086/უ);
7. ავტობიოგრაფია;
8. ოთხი ფოტოსურათი (3X4).

მისამართი: ოქტომბრის რაიონი, დ. უზნაძის ქ. № 37. (ქორწინების სახლის გვერდით, ყოფილი კამოს ქუჩა).

ტელეფონი: 95-60-78.

ტრანსპორტი: ავტობუსი № 78, 40, 4, 28.

ტროლეიბუსი № 1, 14.

სამარშრუტო ტაქსი № 14, 30, 60, 59, 53, 6.

დირექცია

ხალგაზრდა ვერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთი ქორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორის მოადგილე ბიბლა ბობეჩია

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.